



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

|                      |                                      |                      |                      |
|----------------------|--------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>მატჩი</b>         | ბოლნისის „ყოჩები“ - ბათუმის „ბათუმი“ |                      |                      |
| <b>გუნდი</b>         | ბოლნისის „ყოჩები“                    | <b>შეჯიბრი</b>       | დიდი 10              |
| <b>მატჩის თარიღი</b> | 25/11/2022                           | <b>მატჩის ადგილი</b> | თბილისი, რაგბი პლატო |
| <b>რეგულაცია</b>     | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.      |                      |                      |

| დარღვევის აღწერა          |   |  |                             |
|---------------------------|---|--|-----------------------------|
| <b>მოთამაშე/პიროვნება</b> | მოთამაშე(მატჩზე სტატუსი, გუნდის წარმომადგენელი)   | <b>დაბადების თარიღი</b>  | 19/09/1992                  |
| <b>სახელი, გვარი</b>      | ლევან გოგოლაშვილი   |  |                             |
| <b>მომჩივანი</b>          | მატჩის მე-4 მსაჯი - მარიამ გოგუაძე  | <b>დარღვევა</b>  | ✓<br>აღიარებულია უარყოფილია |
| <b>დარღვევა</b>           | <p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - არამართებული ქცევა- 5.18 ბ) აგდებული, დამამცირებელი და/ან აგრესიული დამოკიდებულება მატჩის ოფიციალური პირების, სადისციპლინო პერსონალის, სრკ-ს წევრების, პიროვნებების ან მაყურებლების მიმართ;</p> <p><b>5.19</b> სრკ და მის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა სრკ-ს წევრი სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოთამაშეების და მათი წევრი ყველა პირის დისციპლინირებულ ქცევაზე და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათ მიერ სადისციპლინო რეგულაციების დაცვა.</p> | <p style="text-align: center;">✓</p> <p>წითელი ბარათი    საითინგი    სხვა</p> <p>თუ „სხვა“ აღწერეთ :</p> |                             |



| განხილვის დეტალები   |  |  |             |
|--|--|--|-------------|
| განხილვის თარიღი   | 30/11/2022   | განხილვის ადგილი   | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე  | მირიან თავზარაშვილი  |  |             |
| სადისციპლინო კომისიის წევრები                              | ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე    |  |             |
| დამრღვევის დასწრება  | <input checked="" type="checkbox"/> კი<br><input type="checkbox"/> არა | სხვა დამსწრეები :<br><input type="checkbox"/> კი<br><input type="checkbox"/> არა |             |
| დამრღვევის წარმომადგენელი                                  | ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელი - ირაკლი გეგენავა                   | აღნიშნეთ ვინ   |             |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგი                          |  |             |

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგი;
2. მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. მატჩის კიდის მსაჯის, ონისე მოგელაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
6. მატჩის მეთვალყურის, სალომე მაკასარიშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშე, ლევან გოგოლაშვილი, არ დაეთანხმა მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგში აღწერილი მისი ქცევის, როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრულ არამართებულ ქცევად შეფასებას და განაცხადა, რომ მატჩის ოფიციალური პირისგან (მარიამ გოგუაძე) მისთვის შეურაცხმყოფელი იყო ისეთი შინაარსის მიმართებები როგორიცაა „შენ ტრიბუნაზე ყოფნის უფლება არ გაქვს“ (შენიშვნა: ლევან გოგოლაშვილს იმ დროისათვის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით არ ჰქონდა აკრძალული სტადიონზე(ტრიბუნებზე) დაშვება) და „თუ ასე გააგრძელებ ერთერთი (უვალოდ დისკვალიფიცირებული) პიროვნების ბედს გაიზიარებ“. ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენლის ირაკლი გეგენავას განცხადებით მატჩის ოფიციალური პირების დამოკიდებულება ლევან გოგოლაშვილის მიმართ, სცილდება პროფესიონალიზმის ფარგლებს და უფრო პირად ხასიათს ატარებს.



## ფაქტობრივი მოცემულობა

1. 25/11/2022 გაიმართა დიდი 10-ს IX ტურის მატჩი ბოლნისის „ყოჩები“-სა და ბათუმის „ბათუმს“ შორის.
2. მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის, საითინგის მიხედვით - თამაშის 47-ე წუთზე ერთერთი დარღვევის ვიდეოგანხილვისას მონიტორთან მისულ მსაჯებს, ტრიბუნიდან „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებულმა მოთამაშემ, ლევან გოგოლაშვილმა, ცინიკურად(სიცილით) მიმართა მათ „ამომხედეთ ოთხივემ სურათს გილებთ“. მარიამ გოგუაძემ გააფრთხილა ლევან გოგოლაშვილი თავი შეეკავებინა მსგავსი საქციელისგან, რაზეც პასუხად მიიღო : „წერა ხომ კარგად იცი?“ „შენ არ დაწერე მსაჯს აგინაო“ და „მე ვიცი რისი უფლებაც მაქვს“. თამაშის 56-ე წუთზე, მარიამ გოგუაძემ, მატჩის მსაჯსაც(გიგა მშვენიერაძე) შეატყობინა ლევან გოგოლაშვილის საქციელის გამო მისი გაფრთხილების ფაქტი. თამაშის 65-ე წუთზე ლევან გოგოლაშვილმა კვლავ განაგრძო მონიტორთან მისული მსაჯების ფოტოგადაღება და მარიამ გოგუაძის კიდევ ერთხელ გაფრთხილების შემდეგ (ციტირება) - „ხმაც აღარ ამოუღია“.
3. მატჩის მე-4 მსაჯის, მარიამ გოგუაძის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - მარიამ გოგუაძემ განაცხადა, რომ ლევან გოგოლაშვილის მიმართ მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი მიმართვებს : „შენ ტრიბუნაზე ყოფნის უფლება არ გაქვს“, „თუ ასე გააგრძელებ ერთერთი (უვადოდ დისკვალიფიცირებული) პიროვნების ბედს გაიზიარებ“ და თითის დაქნევის ფაქტს.
4. მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას, სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - თამაშის პირველი ტაიმის განმავლობაში, როდესაც ის ტრიბუნის მხარეს მსაჯობდა, „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებული მოთამაშის, ლევან გოგოლაშვილის, მხრიდან რომელიც ტრიბუნაზე იმყოფებოდა, ადგილი ჰქონდა მის მიმართ ცინიკურ შემახილებს. გელა ლემონჯავამ დაადასტურა მე-4 მსაჯის(მარიამ გოგუაძე) საითინგში აღნიშნული ფაქტი რომ, ვიდეოგანხილვისას მონიტორთან შეკრებილ მსაჯებს ლევან გოგოლაშვილი სურათებს უღებდა და ცინიკურად მიმართავდა მათ რეპლიკებით „ზემოთ ამოიხედეთ სურათს გილებთ“. გელა ლემონჯავას განცხადებით, ლევან გოგოლაშვილი იქცეოდა გამომწვევად და მისი აზრით ცდილობდა მატჩის ოფიციალური პირების პროვოცირებას.
5. მატჩის კიდის მსაჯის, ონისე მოგელაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებული მოთამაშის, ლევან გოგოლაშვილის, მხრიდან რომელიც ტრიბუნაზე იმყოფებოდა, ადგილი ჰქონდა ცინიკურ, გამომწვევ საქციელს მატჩის ოფიციალური პირების მიმართ. ონისე მოგელაშვილმა დაადასტურა მე-4 მსაჯის(მარიამ გოგუაძე) საითინგში აღნიშნული ფაქტი რომ, ვიდეოგანხილვისას მონიტორთან შეკრებილ მსაჯებს ლევან გოგოლაშვილი სურათებს უღებდა და ცინიკურად მიმართავდა მათ რეპლიკებით „ზემოთ ამოიხედეთ სურათს გილებთ“.
6. მატჩის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის, სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - თამაშის დროს ვიდეოგანხილვისას მონიტორთან ყოფნისას ესმოდა აგდებული, ცინიკური შემახილები ტრიბუნიდან მსაჯების მიმართ, მაგრამ ვინაიდან იგი ვიდეომონიტორს აკვირდებოდა და კონკრეტული დარღვევის შეფასების პროცესში იყო არ გაუხედავს ტრიბუნისკენ და



მოგვიანებით კიდის მსაჯებისგან და მე-4 მსაჯისგან შეიტყო აგდებული, ცინიკური შეძახილების ავტორის (ლევან გოგოლაშვილი) ვინაობა. გიგა მშვენიერადის განცხადებით, თამაშის 56-ე წუთზე, კიდის და მე-4 მსაჯებისგან მიიღო ინფორმაცია „ყოჩები“-ს წარმომადგენლების მხრიდან აპელირების და აგრეთვე „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებული მოთამაშის, ლევან გოგოლაშვილის, ცინიკური საქციელი გამო შენიშვნის მიცემის შესახებ.

7. მატჩის მეთვალყურის, სალომე მაკასარაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - თამაშის მიმდინარეობისას „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებული მოთამაშის, ლევან გოგოლაშვილის, მხრიდან ადგილი ჰქონდა ცინიკურ საქციელს მატჩის ოფიციალური პირების მიმართ, იგი თავად არ შესწრებია ვიდეოგანხილვისას მონიტორთან შეკრებილი მსაჯების მიმართ ლევან გოგოლაშვილის ცინიკურ საქციელს და ამის შესახებ მე-4 მსაჯისგან (მარიამ გოგუაძე) შეიტყო. თუმცა თავადაც ჰქონდა კომუნიკაცია ტრიბუნაზე მყოფ ლევან გოგოლაშვილთან რა დროსაც გააფრთხილა იგი შეეწყვიტა არამართებული ქცევა მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.

სადისციპლინო კომისია ფაქტობრივი მოცემულობების და სადისციპლინო კომისიის სხდომაზე „ყოჩები“-ს წარმომადგენლის(ირაკლი გეგენავა) და დისკვალიფიცირებული მოთამაშის (ლევან გოგოლაშვილი) განცხადებების განხილვის შემდეგ მიიჩნევს რომ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი მოცემულობების შეჯამებით :

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს დისკვალიფიცირებული მოთამაშის, ლევან გოგოლაშვილის, მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.18 ბ) პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას „ აგდებული, დამამცირებელი და/ან აგრესიული დამოკიდებულება მატჩის ოფიციალური პირების , სადისციპლინო პერსონალის, სრკ-ს წევრების, პიროვნებების ან მაცურებლების მიმართ;“.
2. კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.19 პუნქტით განსაზღვრული პირობის - „სრკ და მის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა სრკ-ს წევრი სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოთამაშეების და მათი წევრი ყველა პირის დისციპლინირებულ ქცევაზე და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათ მიერ სადისციპლინო რეგულაციების დაცვა“ დარღვევას.

სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება რომ, ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშე, ლევან გოგოლაშვილი, სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 5/10/2022 გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებული იქნა 18(თვრემეტი) კვირით, რომელიც გასაჩივრების შემდეგ სრკ-ს სააპელაციო კომისიამ შეამცირა 12(თორმეტი) კვირამდე (საკ-ს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება 1 ნოემბერი, 2022 წელი) და მიიღო შემდეგი



## გადაწყვეტილება

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშეს, ლევან გოგოლაშვილს, დისკვალიფიკაციის პერიოდში, 27/03/2023 -მდე, აეკრძალოს ბოლნისის „ყოჩები“-ს თამაშების დროს სტადიონზე დასწრება, რაც გულისხმობს სტადიონის მთელ ტერიტორიაზე (ტრიბუნები, გასახდელი ოთახები თუ სხვა) ყოფნას.
2. ბოლნისის „ყოჩები“ დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით და ფულადი ჯარიმის გადახდის საბოლოო თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 5 იანვარი.
3. კლუბის მიერ საჯარიმო თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.4 პუნქტი.

|                          |  |        |            |
|--------------------------|--|--------|------------|
| თავმჯდომარე<br>ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი<br> | თარიღი | 05/12/2022 |
|--------------------------|--|--------|------------|

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.